სააპელაციო საბჭო

26/12/2024

MES 5 24 0001658572

შპს სკოლა თამარიონი + - ის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2024 წლის 25 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს სკოლა თამარიონი + - ის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1619267) და წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №1638483) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 02 დეკემბრის № 1544249 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს სკოლა თამარიონი + - ის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
2024 წლის 25 დეკემბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს სკოლა თამარიონი + - ის (ს/კ:418482895) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1619267);
2. სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 25 დეკემბრის №1656086 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა;

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ელექტრონულად დამოწმებული
ფუნქციონერი
ელექტრონულად